

*ინტერდისციპლინარული საერთაშორისო ვორქშოფი „საგამოფენო პავილიონი“ გონიო-  
აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში.*

2018 წლის 25 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრის ჩათვლით არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებმა: ირაკლი ზუკაკიშვილმა, გიორგი კეკულაძემ, ინვერ შვანგირაძემ და გიორგი ჩაბალუხამ მონაწილეობა მიიღეს ინტერდისციპლინარულ საერთაშორისო საკონკურსო პროექტის „საგამოფენო პავილიონი“ გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში“ პირველ ეტაპში. პირველ ეტაპზე გონიოში ჩატარდა ვორქშოფი. საერთაშორისო პროექტში მონაწილეობას ღებულობენ პოლონეთის მხრიდან ქალაქ გდანსკის სამხატვრო აკადემიის და ტექნოლოგიის უნივერსიტეტის სტუდენტები. საქართველოს მხრიდან სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის და სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტები. პირველ ეტაპზე შედგა საერთაშორისო ჯგუფები, რომელიც დაკომპლექტდა როგორც ქართველი ისე პოლონელი სტუდენტებით.

ვორქშოფის მიზანი იყო პირველირიგში საპროექტო დავალების დაგეგმვა. საპროექტო ადგილის შესწავლა, კვლევა, ვიზუალური დათვალიერება, ფოტო ფიქსაცია, ჩანახატების გაკეთება და პირველადი კონცეფციის შემუშავება. ასევე ამ ადგილის რესტავრაცია-რეკონსტრუქციის თავისებურების გაცნობა.

29 ოქტომბერს ფაკულტეტზე შედგა გონიოში, ვორქშოფზე ჩატარებული სამუშაოს განხილვა და განისაზღვრა მომავალი მუშაობის სპეციფიკა. სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტიდან სტუდენტებს კონსულტაციებს გაუწევინ პროფესორები ნინო იმნაძე და დავით ბოსტანაშვილი. პროექტის მეორე ეტაპი გულისხმობს კონცეფციის შემუშავებას და აზრთა გაზიარებას ონლაინ რეჟიმში. საბოლოოდ პროექტი უნდა დასრულდეს თებერვალს.





